



საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

12.02.2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №13

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2019 წლის 12 თებერვლის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

1.1. „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ირაკლი ლაგვილავა-საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

1.2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: ირაკლი ლაგვილავა-საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

1.3. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: დავით გახარია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე




1.4. კერძო სამართლის იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ რეორგანიზაციის განხორციელების მიზანშეწონილობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: სანდრო სორდია-საკრებულოს იურიდიულ-სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია